საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030128914847520

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3222 **13 / მარტი / 2020 წ.**

შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის
პრევენციის ცენტრის" დირექტორს,
ბატონ ლაშა კილაძეს

ბატონო ლაშა,

როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის გავრცელების მაღალი რისკის ზონებად დასახელებული ქვეყნებიდან შემოსული მგზავრები დაექვემდებარონ 14 დღიან სავალდებულო იზოლაციას, სახელმწიფოს მიერ კარანტინისთვის წინასწარ შერჩეულ დაწესებულებებში. ამ ეტაპზე, საკარანტინე ზონაში იმყოფება 300-ზე მეტი პირი. მათ შორის, როგორც ირკვევა, იმყოფებიან ნარკოდამოკიდებული პირები. წინასწარი ინფორმაციით, დაუდგენელია მათი ჩანაცვლებით თერაპიაზე ყოფნის ისტორია. ამასთან, საკარანტინე ზონებიდან ყოველდღიურად მიღებული ინფორმაციით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, ისინი თავს გრძნობენ ცუდად და გამოხატავენ ღია აგრესიას შესაბამისი მკურნალობის მიღების თხოვნით.
შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ასევე, ვინაიდან, ამ ეტაპზე მათი მდგომარეობა არ არის განსაზღვრული დარგის სპეციალისტების მიერ, გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული პირების ადგილზე შეფასება, შემდგომში მათი შესაბამისი სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფის მიზნით.
წინასწარ მადლობას გიხდით თანამშრომლობისა და დახმარებისათვის.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია